

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
კლასიკური ფილოლოგიის, ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის ინსტიტუტი

●  
**პროგრამა «ლოზოსი»**

პუბლიკაციები და ღონისძიებები კლასიკური ფილოლოგიის,  
ბიზანტინისტიკისა და ნეოგრეცისტიკის სფეროში



**2006**  
**თბილისი**

**Irene Tatišvili**

HETHITISCH-GEORGISCHES  
WÖRTERBUCH

**Lieferung 1: A**

Herausgegeben von Lewan Gordesiani

ინინე ტატუვილი

ხეთურ-ქართული  
ლაქსიონი

ნაჟვეთი 1: A

რედაქტორი      **ლევან გორდემიანი**

© პროგრამა „ლოგოსი“, 2006

© ირინე ტატიშვილი, 2006

ISBN 99940-31-15-5

პროგრამა „ლოგოსი“

ილია ჭავჭავაძის გამზირი 13,

თბილისი 0179

ტელ. 25-02-58, ფაქსი 22-11-81

ელ. ფოსტა [greekstudies@caucasus.net](mailto:greekstudies@caucasus.net)

## წინასიტყვაობა

ხეთური ენა ინდოევროპულ ენათა ოჯახის ანატოლიურ განშტოებას მიეკუთვნება. ის შემოგვინახეს თიხის ფირფიცებზე ლურსმული დამწერლობით შესრულებულმა ხეთურმა ტექსტებმა. მათ ყველაზე დიდ კოლექციას შეიცავს ხეთების<sup>1</sup> დედაქალაქ ხათუსას “არქივი”, რომლის აღმოჩენას წელს საიუბილეო თარიღი – 100 წელი უსრულდება. ხათუსაში, თანამედროვე თურქული სოფლის ბოლამქალეს (ძველი ბოლამქოის) ადგილას, ანკარიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით, დაახლ. 150 კმ-ის დაშორებით, ჰუგო ვინკლერის მიერ დაწყებული არქეოლოგიური გათხრები დღესაც გრძელდება და არქივი ყოველწლიურად ახალი აღმოჩენებით მდიდრდება. არქივი ამჟამად ოცდაათ ათასზე მეტ თიხის ფირფიცასა და ფირფიცის ფრაგმენტს ითვლის. ამ ფირფიცებზე ათი ათასზე მეტი ტექსტია აღბეჭდილი. დაახლოებით ას გომად გამოცემული ხეთური წერილობითი ძეგლები<sup>2</sup> უმნიშვნელოვანესი წყაროა ხეთების ცივილიზაციის საკვლევად. თიხის ფირფიცათა მნიშვნელოვანი კოლექციებია გამოვლენილი აგრეთვე ხეთების პროვინციულ ქალაქებშიც. ასეთებია: თაფთა (დღევანდელი მაშათი, 1975 წ.), საფინუვა (დღევანდელი ორთაქოი, 1990), სარისა (დღევანდელი ქუშაქლი, 1994).<sup>3</sup> ხეთური ტექსტები ნაპოვანია ხეთების სამეფოს ფარგლებს გარეთაც: თელ აჯანაში (= ალაახი), რას შამრაში (= უგარიტი), მესქენეში (= ემარი), ელ-ამარნაში (= ახეტატონი) და სხვ.

ხეთურის გარდა, ხეთების არქივებში გამოვლენილია სხვა ენებიც: შუშურული და აქადური; ხეთური ენის მონათესავე ძველანატოლიური ენები – ლუვიური და ფალაური; არაინდოევროპული ენები – ხათური და ხურიტული. ხათების, ცენტრალური ანატოლიის უძველეს მკვიდრთა, ენა ხათუსას არქივის აღმოჩენამდე სრულიად უც-

<sup>1</sup> მათ შესახებ ქართულ ენაზე იხ. გ. გიორგაძე, ათასი ღვთაების ქვეყანა (ხეთები და ხეთური ცივილიზაცია). თბილისი, 1988.

<sup>2</sup> ტექსტები, ავტოგრაფების სახით, ქვეყნდება შემდეგ სერიებში: Ankara Arkeoloji Müzesinde bulunan Boğazköi Tabletleri (ABoT). Istanbul, 1948; Hittite Texts in Cuneiform Character in the British Museum (HT). London, 1920; Istanbul arkeoloji Müzelerinde Bulunan Boğazköi Tabletleri (IBoT). Istanbul, 1944-; Keilschrifttexte aus Boghazköi (KBo). Leipzig-Berlin, 1916-; Keilschrifturkunden aus Boghazköi (KUB). Berlin, 1921- 1990; A. Götzte (Ed.), Verstreute Boghazköi-Texte (VBoT). Marburg, 1930.

<sup>3</sup> ტექსტების გამოცემებისთვის იხ. S. Alp, Hethitische Keilschrifttafeln aus Masat-Höyük (TTKY VI/35). Ankara, 1991; A. Süel, Ortaköi: Eine hethitische Stadt mit hethitischen und hurritischen Tontafelentdeckungen, Fs S. Alp. Ankara. 1991; G. Wilhelm, Keilschrifttexte aus Gebäude A. Kusakli – Sarissa (hrsg. Von A. Müller-Karpe), Band 1: Keilschrifttexte, Fasc. 1, Leidorf, 1997.

ნობი იყო მეცნიერთათვის,<sup>4</sup> ხოლო ხურიტულ ენაზე შედგენილ ტექსტთა დიდი ნაწილი სწორედ აქ არის ნაპოვნი.

ხეთების ისტორიის, კულტურისა და ენის შესახებ მეცნიერების – ხეთოლოგიის<sup>5</sup> დაბადების დღედ ითვლება 1915 წლის 24 ნოემბერი, როდესაც ჩეხი მეცნიერი ბედრჟიხ ჰროზნი “წინა აზიის შემსწავლელი ბერლინის სამოგადოების” წინაშე წარსდგა მოხსენებით ხეთური ენის გაშიფრის შესახებ. ამიერიდან შესაძლებელი გახდა ხეთური ტექსტების ამეცყველება.

ტექსტები უაღრესად მრავალფეროვანია შინაარსით. მათ ყველაზე დიდ ნაწილს შეადგენენ რელიგიური ტექსტები: მაგიურ თუ სადღესასწაულო რიტუალთა აღწერილობები, საკულტო-საინვენტარო და სამისნო ტექსტები, ჰიმნები, ლოცვები, მითოლოგიური ტექსტები. შეიძლება აგრეთვე გამოიყოს ტექსტების შემდეგი ძირითადი ჯგუფები: ისტორიული (ანალები, ხელშეკრულებები და სხვ.), აღმინისგრატიული (სამეფო ბოძების სიგელები, ინსტრუქციები, პროგოკოლები და სხვ.), საკანონმდებლო (კანონები, სასამართლო ოქმები), სასკოლო ტექსტები (ლექსიკონები, ლიტერატურული ტექსტების თარგმანები) და სხვ.<sup>6</sup>

ხეთური ტექსტების ყველაზე ადრეული ნიმუშები, რომლებიც ძვ.წ. XVII ს.-ის შუა ხანებით თარიღდებიან, უძველეს ინდოევროპულ წერილობით ძეგლებს წარმოადგენენ. ამდენად, ხეთური ენის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სხვა ინდოევროპული ენების დამწერლობამდელი ისტორიის რეკონსტრუქციისათვის, მათი შედარებით-ისტორიული გრამატიკის შესწავლისთვის და აგრეთვე ზოგადი ენათმეცნიერების სხვადასხვა საკითხის კვლევისთვის. თუმცა, ხეთურის – წინა აზიის ერთ-ერთი უძველესი კულტურული ენის – შესწავლის მნიშვნელობა ამით არ ამოიწურება. ქანრობრივად მრავალფეროვანი ტექსტების კვლევა საშუალებას აძლევს ხეთოლოგებს, ხეთური კულტურის მაგალითზე, თვალი გაა-

<sup>4</sup> მისი შესწავლის თანამედროვე მდგომარეობას მიმოიხილავს გ. გიორგაძე სტაგიაში: ხათური (პროტოხეთური) ენა და ხათები (პროტოხეთები), ხეთოლოგიური და ქართველოლოგიური ძიებანი. თბილისი, 1999, 168 შმდ.; იქვე დასახულია ხათური და ქართველური ენების ნათესაობის კვლევის პერსპექტივები.

<sup>5</sup> მისი ჩამოყალიბების, მიღწევებისა და ძირითადი მიმართულებების შესახებ იხ. ცნობილი ხეთოლოგის, აწ გარდაცვლილი ერის ნოს სტაგია “ხეთოლოგია დღეს”, რომელიც გამოქვეყნდა ვიურცბურგში გამართული ხეთოლოგთა IV საერთაშორისო კონგრესის მასალებში: Studien zu den Boghazkoi-Texten (StBoT) 45, Wiesbaden, 2001, 1 ff.

<sup>6</sup> ტექსტების კლასიფიკაციისთვის იხ. E. Laroche, Catalogue des Textes Hittites (CTH). Paris, 1971; არსებობს მისი ახალი, შეესებული ელექტრონული ვერსიაც: [www.hethport.uni-wuerzburg.de/CTH/](http://www.hethport.uni-wuerzburg.de/CTH/)

დევნონ კულტურისა და ენის ისტორიის კავშირებს. ხეთური რელიგიური შინაარსის ტექსტები, რომლებიც დღემდე გამოვლენილი ხეთური წერილობითი ძეგლების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს ქმნიან, უაღრესად მნიშვნელოვანია რელიგიის ისტორიისთვის, მეთოდოლოგიური თვალსაზრისითაც. მართალია, ეგვიპტესა და შუამდინარეთში აღმოჩენილი რელიგიური ტექსტები უფრო ადრეული ხანისაც გვაქვს, მაგრამ ხეთებთან ეთნოსის, სახელმწიფოსა და დამწერლობის შექმნა თანადროულად ხდება. ამდენად, ხეთოლოგს შეუძლია შეისწავლოს რელიგიურ წარმოდგენათა ჩამოყალიბების უძველესი ეტაპი, რომელიც ხეთურმა წერილობითმა ძეგლებმა შემოგვინახეს.

დღემდე ხეთოლოგის უპირველეს ლექსიკონად რჩება იოჰან ფრიდრიხის ხეთური ლექსიკონი – J. Friedrich, Hethitisches Wörterbuch (შემდგომი დამოწმებისას – HW), თუმცა ის დღეისათვის ლექსიკოგრაფიული თვალსაზრისით მოძველებულია. მისი მეორე გამოცემის მრავალტომეულის გამოქვეყნება, ანელიზ კამენჰუბერის რედაქტორობით, დაიწყო 1975 წელს – J. Friedrich-A. Kammenhuber, Hethitisches Wörterbuch (შემდგომი დამოწმებისას – HW<sup>2</sup>). კამენჰუბერის გარდაცვალების შემდეგ, 1995 წლიდან ამ ლექსიკონის რედაქტორი ხდება ინგე ჰოფმანი. დღეისათვის არსებობს ლექსიკონის სამი ტომი (I: A, II: E, III: H), დაყოფილი 16 ნაკვეთად (იხ. ბიბლიოგრაფია). მესამე ტომი არ არის დასრულებული: გამოცემას ელოდება მე-17 ნაკვეთი (hašša- ...). HW<sup>2</sup> ისევე, როგორც მისი წინამორბედი HW, ხეთური ენის შესახებ გრამატიკული და ლექსიკური ინფორმაციის მნიშვნელოვანი წყაროა, დაფუძნებული ხეთური ტექსტების მონაცემებზე. HW<sup>2</sup>-ის პარალელურად, ჩიკაგოშიც გამოიცემა ხეთური ლექსიკონი – The Hittite Dictionary of the Oriental Institute of the University of Chicago (შემდგომი დამოწმებისას – CHD) : L - Š. მისი გამოცემა დაიწყო ჰანს გიუგერბოკმა ჰარი ჰოფნერთან ერთად 1980 წელს, ხოლო გიუგერბოკის გარდაცვალების შემდეგ ამ საქმეს აგრძელებენ ჰოფნერი და თეო ვან დენ ჰაუტი. ჩიკაგოს ლექსიკონიც დესკრიპციული ხასიათისაა (გრამატიკული ინფორმაციისა და ხეთური კონტექსტების შემცველი) და აგრეთვე არ არის დღემდე დასრულებული (იხ. ბიბლიოგრაფია). ჰაიდელბერგისა და ჩიკაგოს ლექსიკონები ერთმანეთს გარკვეულწილად ავსებენ: A-დან – ნაწილობრივ გამოცემული H-ს ჩათვლით და L-დან – Š-ს არასრული გამოცემის ჩათვლით. ამ ლექსიკონებისგან აგების პრინციპით განსხვავდება ე. სტურტევანტის გლოსარიუმი (Sturtevant 1936) და აგრეთვე ი. თიშლერის (Tischler 1982,

2001) და ხ. რამოსის (online) ლექსიკონები, რომლებიც უფრო მეტად გლოსარიუმის ტიპისაა.

სამწუხაროდ, დღემდე არ შექმნილა ხეთურ-ქართული ლექსიკონი. მის საჭიროებას კი უდავოდ ხდის საქართველოში ხეთოლოგიის არსებობის მრავალწლიანი გრადიცია. მართალია, პირველი ხეთოლოგიური ნაშრომი (“ხეთის ქვეყანა, მისი ხალხები, ენები, ისტორია და კულტურა”, კონსტანტინოპოლი, 1924 წელი), რომელიც მიხაკო წერეთელს ეკუთვნის, საქართველოში არ გამოცემულა, მაგრამ ჯერ კიდევ 1918-1921 წლებში ქართულ უნივერსიტეტში არსებობდა “ძველი აღმოსავლეთის ისტორიისა და ასირიოლოგიის” კათედრა,<sup>7</sup> რომლის მემკვიდრედ 1992 წელს, ცნობილი ხეთოლოგის გრიგოლ გიორგაძის თაოსნობით, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში აღმოცენდა მიხაკო წერეთლის სახელობის ასირიოლოგიის კათედრა.

აღსანიშნავია საქართველოში ხეთებით და მათი ენით დაინტერესებულთა მზარდი რიცხვი. როგორც გ. გიორგაძე შენიშნავდა, “ხეთებისადმი ინტერესი განუზომლად დიდია საქართველოში. ზოგადმეცნიერულ ინტერესს ჩვენში აღრმავენ ის, რომ ხეთების სამეფო ჩამოყალიბდა და მთელი საუკუნეები იარსება ქართველურ ტომთა უძველესი განსახლების მეზობლად (სამხრეთ-დასავლეთიდან). მცირეაზიულ, განსაკუთრებით, ხეთურ, სამყაროსთან ქართველური ტომების ისტორიული, ენობრივი და კულტურული უწყყარი კონტაქტების გამოვლენა ბევრ სიახლეს შეიტანს ქართველურ ტომთა უძველესი ისტორიის შესწავლის საქმეში, რისთვისაც ახლა იღვწიან ქართველი ისტორიკოსები, ენათმეცნიერები, არქეოლოგები”.<sup>8</sup>

წინამდებარე ნაშრომი ხეთურ-ქართული ლექსიკონის შექმნის პირველი ცდაა. სიტყვები აღებულია ძირითადად ი. თიშლერის ლექსიკონიდან (Tischler 2001).<sup>9</sup> სიტყვა-სტატიების აგებულებაც, გარკვეული ცვლილებებით, მას ეყრდნობა. თითოეული სალექსიკონო ერთეულის შესახებ ინფორმაცია გადამუშავებული და შევსებულია ბიბლიოგრაფიაში ჩამოთვლილ ლექსიკოგრაფიულ წყაროებზე

<sup>7</sup> კათედრის პროფესორი იყო მიხაკო წერეთელი. ქართული ასირიოლოგიის წინაშე მისი ღვაწლის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. ნ. სამსონია, მიხეილ (მიხაკო) წერეთელი და ასირიოლოგია, თბილისი, 2005.

<sup>8</sup> გ. გიორგაძე 1988, 3.

<sup>9</sup> მასში შესულია ყველა სიტყვა, რომელიც HW-ს გამოცემის შემდგომ არის გამოვლენილი და დადასტურებულია ხეთური ტექსტების სხვადასხვა გამოცემაში (პირველ რიგში, იგულისხმება StBoT. Wiesbaden, 1965- და Texte der Hethiter (THeth). Heidelberg, 1971-).

დაყრდნობით. ასახული მაქვს ცალკეული ტერმინის საკუთარი კვლევის შედეგებიც, რომელთაგან ზოგიერთი გამოქვეყნებულია.<sup>10</sup>

ლექსიკონი გამოიცემა ნაკვეთების სახით. პირველი ნაკვეთი ეძღვნება მთლიანად ასო A-ს. ამ ასოზე იწყება, აკამენჰუბერის დახასიათებით, ხეთური სიტყვების “განსაკუთრებით ღიდი და პრობლემური”<sup>11</sup> ნაწილი.

ხეთურ-ქართულ ლექსიკონს დაერთვება დამატებები, სადაც თავმოყრილი იქნება ბოლამჭოის არქივის ხეთურ ტექსტებში ნახსენები შუმეროგრაფები (დამატება I) და აქალური სიტყვები და ფორმები (დამატება II).

ხეთურ-ქართული ლექსიკონის ბაზაზე მზადდება აგრეთვე ქართულ-ხეთური ლექსიკონიც, რომლის დასრულებას ვვარაუდობ უახლოეს მომავალში.

იმედს გამოვთქვამ, რომ ხეთურ-ქართული (და მომავალში ქართულ-ხეთური) ლექსიკონი დაეხმარება, პირველ რიგში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასირიოლოგიის განყოფილების სტუდენტებს. თუმცა, ცხადია, მხოლოდ ამ ლექსიკონით სარგებლობა არ იქნება საკმარისი და არ შეუცვლის მათ ღიდი ლექსიკონებით მუშაობას (ვგულისხმობ, პირველ რიგში, HW<sup>2</sup>-სა და CHD-ს). ლექსიკონის მიზანია, გაუადვილოს სტუდენტებს (განსაკუთრებით, საწყის ეტაპზე) ხეთური ენის დაუფლება მშობლიური ენის მეშვეობით. ვისურვებდი, რომ ის აგრეთვე სასარგებლო აღმოჩნდეს ხეთური ენით ან ხეთურ-ქართული პარალელებით დაინტერესებული ნებისმიერი პირისთვის, რომლისთვისაც სამღვარვარეთ გამოცემული ხეთური ენის ლექსიკონები ადვილად ხელმისაწვდომი არ არის. წინამდებარე ლექსიკონი საინტერესო შეიძლება აღმოჩნდეს უცხოელი ხეთოლოგისთვისაც, რომელსაც ხეთური სიტყვა შეუსრულებს მეგზურის როლს ქართული შესატყვისის გასაცნობად.

ცხადია, ნაშრომი ვერ იქნება ხარვეზებისგან დაზღვეული. მაღლიერებით მივიღებ ლექსიკონთან დაკავშირებულ საქმიან რჩევებსა და შენიშვნებს. აქვე მინდა ღიდი მადლობა გადავუხადო გამომცემლობა “ლოგოსს”, რომელმაც ითავა ამ ნაშრომის გამოქვეყნება.

---

<sup>10</sup> მაგ., Хеттский храмовый строительный ритуал (KBo IV 1), მაცნე. ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია I. (თბილისი), 1983, 123 შმდ.; I. Tatišvili, Zur <sup>†</sup>halentu-Frage, Assyrien im Wandel der Zeiten. Heidelberg, 1997, 181 ff.

<sup>11</sup> HW<sup>2</sup>, 11.

## ლექსიკონის აგების პრინციპებისა და ლექსიკონით სარგებლობის შესახებ

▣ თითოეული სალექსიკონო ერთეული შეიცავს ლექსიკურ და გრამატიკულ დახასიათებას. თარგმანი ხშირად დაზუსტებული და შევსებულია იქვე, მრგვალ ფრჩხილებში კურსივით, მოცემული დამატებითი განმარტებებით, რომლებიც, ლექსიკური მნიშვნელობის გარდა, უფრო ზოგად კვალიფიკაციებსაც შეიცავენ. იმ შემთხვევაში, როდესაც სიტყვის ზუსტი მნიშვნელობა არ არის ცნობილი, დაახლოებითი ლექსიკური განმარტება მრგვალ ფრჩხილებშია მოცემული. ინფორმაცია რომ უფრო ადვილად აღსაქმელი ყოფილიყო, თავი შეეკავებ ცალკეული სალექსიკონო ერთეულისათვის ბიბლიოგრაფიული ხასიათის მითითებებისა და ხეთური კონტექსტების დართვისაგან. ამავე მიზეზით, გრამატიკული დახასიათება მოცემულია მინიმალურად, მორფოლოგიური პარადიგმების გარეშე (გამონაკლისს წარმოადგენენ: ნაცვალსახელები, ასევე ფუძეცვალებადი სიტყვები – მაგ., aiš-/išš-). აგრეთვე, მხოლოდ ნაწილობრივ არის ასახული განსხვავებულ ფორმათა ხმარება სინქრონული თუ დიაქრონული ასპექტით. ამ ხარვეზის შევსებაში მკითხველს დაეხმარება ბიბლიოგრაფიულ სიაში ჩამოთვლილი ლექსიკონები (პირველ რიგში, HW, HW<sup>2</sup>, CHD), აგრეთვე სხვა ლექსიკოგრაფიული თუ ლექსიკოლოგიური ნაშრომები.<sup>12</sup> ეტიმოლოგია მითითებულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის მეტნაკლებად უდავოა, დაინტერესებულ მკითხველს კი ვურჩევ ხეთური ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებს, შედგენილს ი. თიმლერისა (HEG) და ი. ფუჰელის მიერ (HED).

▣ ხეთური სალექსიკონო ერთეულები გამოიყოფა მუქი შრიფტით (Bold-ით) და დალაგებულია ისე, როგორც ეს ხეთოლოგებთან არის მიღებული: თანმიმდევრობა მისდევს ლათინურ ანბანს; გემინაგები (გაორმაგებული თანხმოვნები) ანბანური დალაგებისას, ჩვეულები-სამებრ, არ არის გათვალისწინებული; მქლერი და ყრუ ბგერების მონაცვლეობის გამო, ისინი ანბანში ერთადაა მოთავსებული ყრუ

<sup>12</sup> ბიბლიოგრაფიისთვის იხ. N. Boysan-Dietrich, M. Marazzi, Bibliographie zum hethitischen Wortschatz, Archiv für Orientforschung (AfO), Bd. 32, 1985; იხ. აგრეთვე, AfO Bd. 34, 1987; V. Souček, J. Siegelová, Systematische Bibliographie der Hethitologie 1915-1995. Praha, 1996, Teilband 2 (44.5: Wortforschung), 100 ff. მას მერე გამოცემული ნაშრომებისა და, საერთოდ, ხეთური ენის შესწავლასთან დაკავშირებული სიახლეების შესახებ შეიძლება შევიტყუთ ინტერნეტიდან შემდეგი ელექტრონული მისამართის დახმარებით: [www.hethiter.net](http://www.hethiter.net)

ბგერაზე; დიფთონგი ya (= ja) მოთავსებულია იქ, სადაც ანბანური თანმიმდევრობით i-ხმოვანს ეკუთვნის. ამგვარად, ხეთური “ანბანი” ასე გამოიყურება:

a b(→p) d(→t) e g(→k) ḥ i k l m n p q(→k) š t u w z

▣ სალექსიკონო ერთეულის მარჯვენა ზედა კუთხეში მოთავსებული არაბული ციფრების მეშვეობით განვასხვავებ მსგავსი დაწერილობის და სხვადასხვა ლექსიკური მნიშვნელობის მქონე ფორმებს, მაგალითად ასე:

(NA4) **aku**<sup>-1</sup> (c.) ქვა  
*adj.* (NA4) akuwant-

**aku**<sup>-2</sup> /**eku**- (I) დალევა  
= NAG; *part.* akuwant-; *inf.* akuwana; *nom. act.* akuwatar; *iter.* akkušk-  
*ლუვ.* akuwan (akuwatta); *ფალ.* ḥu- დალევა

-(a)ku<sup>3</sup> ... -(a)ku ან ... ან; იქნება ... თუ ...

▣ არასპეციალისტისთვის რომ გამეადვილებინა ლექსიკონით სარგებლობა, ერთმანეთთან მორფოლოგიურად დაკავშირებული სიტყვები ძირითად ფორმასთან დავაჯგუფე ერთ სიტყვა-სტაგიაში, ხოლო ზოგიერთი ფორმა ცალკე სალექსიკონო ერთეულად გამოვყავი, ძირითად ფორმაზე მითითებით (7). ასე მაგალითად: ašašk-/ašešk-, ašešanu-, ašešuwanzi, ašešant-, ašešuar, ašeššar – იგერატივის, კაუზატივის, აგრეთვე ინფინიტივის, მიმღობის და სახელმზნის (nomen actionis) ფორმები (7 ašaš-/ašeš-). იმ შემთხვევაში, როდესაც ესა თუ ის ფორმა ანბანურად მოსდევს ძირითად ფორმას, ის ცალკე აღარ არის გამოტანილი ლექსიკონში. მაგალითად:

**arnu**- (I) წალება, წაყვანა  
*inf.* arnumanzi; *nom. act.* arnumar; *iter.* arnušk-

შესაბამისად, ანბანური წესი განაპირობებს ინფინიტივის, სახელმზნის, იგერატივის, თუ სხვა ფორმათა თანმიმდევრობას ერთი სალექსიკონო ერთეულის ფარგლებში.

დამოუკიდებელ ერთეულებად არის შეტანილი ლექსიკონში თანაბრად დადასტურებული ალტერნატიული ვარიანტები (ორთოგრაფი-

ის, წაკითხვის და სხვ.). მაგალითად: **aku**-<sup>2</sup>/**eku**- (I) და **eku**-/**aku**-<sup>2</sup>. შედარებით ნაკლებად გავრცელებული ვარიანტი (ან ვარიანტები) მძიმით არის გამოყოფილი ძირითადი სალექსიკონო ერთეულისგან და ცალკე გამოგანისას მიეთითება ძირითადი ფორმა. მაგალითად :

**alalam(m)a-**, **alalima-** (c.) ხმაური, ბობოქრობა, ჩუხჩუხი (წყლისა), შრიალი (ცყისა)

და

**alalima-**  
↗ **alalam(m)a-**

წაკითხვის განსხვავებული ვარიანტი, რომელიც ლურსმული ნიშნის პოლიფონიურობით შეიძლება იყოს განპირობებული, ძირითადი სალექსიკონო ერთეულისგან, ჩვეულებრივ, მრგვალი ფრჩხილებით არის გამოყოფილი. მაგალითად, **aḥarriyant-** (/aḥurriyant-) და **aḥurriyant-** (/aḥarriyant-). მრგვალ ფრჩხილებში მოთავსებული სადავო ან იშვიათი დაწერილობა სიგყვისა შეიძლება ყოველთვის არც იყოს ცალკე გამოგანილი.

▫ ხეთურ სიგყვას დართული აქვს მითითება მის უცხო (ლუვიურ, ხურიტულ ან ხათურ) წარმოშობაზე. ასეთი სიგყვები დამოუკიდებელ ერთეულებად მოხვდნენ ლექსიკონში, ვინაიდან ხეთურ კონტექსტებში იხსენიებიან.

ხშირად ხეთური სიგყვის უცხო წარმოშობაზე მიგვანიშნებს თვით ხეთების მიერ შემოღებული აღნიშვნა – ხეთურ ლურსმულ ტექსტში სიგყვის წინ ერთი ან ორი დახრილი სოლი (𐎶). ეს ნიშანი უპირატესად ლუვიურ სიგყვებს უძღვის წინ. ამის მიუხედავად, ლუვიური წარმოშობა ამა თუ იმ სიგყვისა ყოველთვის უდავო არ არის და ამიგომ ვარჩიე ყველგან დამეგოვებინა ხეთური აღნიშვნა (𐎶), ხოლო სათუო წარმოშობა ბრჭყალებით განმეხსევავებინა უდავოსაგან (ასე მაგალითად, “*ლუჴ*” და *ლუჴ*). უმრავლეს შემთხვევაში, სიგყვის ლუვიური წარმოშობა დასტურდება მისი ლუვიურ კონტექსტში მოხსენიებით.

▫ შუმეროგრამა და აქადოგრამა, რომლის ხეთური წაკითხვა დადგენილია და ეჭვს არ იწვევს, ჩართულია შესაბამის სალექსიკო-

ნო ერთეულში.<sup>13</sup> შუმეროგრამას ხშირად დართული აქვს მისი შესატყვისი ხეთური ან აქადური სიგყვის დაბოლოება – ფონეტიკური კომპლემენტი. შუმეროგრამათა დიდი ნაწილი გამოიყენებოდა დეკრემინატივადაც – სიგყვითა განსაზღვრული სემანტიკური ჯგუფების გრაფიკულ ინდიკატორად. ისინი, ჩვეულებრივ, იწერება სიგყვის შემოთ, მის თავში ან ბოლოში. ცხადია, საჭირო ხდება ტრანსკრიფციაში შუმერული, აქადური და ხეთური სიგყვების ერთმანეთისგან განსხვავება. ხეთოლოგებს შორის მიღებულია მათი შემდეგნაირად აღნიშვნა: შუმეროგრამებისა – დიდი ლათინური ასოებით (მთავრულით), აქადური სიგყვებისა და ფორმებისა – დიდი ლათინური ასოებით და დახრილად (მაიუსკულური კურსივით), ხოლო ხეთურისა – პაგარა ლათინური ასოებით (მინუსკულით / ნუსხურით). მაგალითად ასე :

**appašiwatt-** (*c.*, *t-ფუძ.*) მომავალი დღე(ები), მომავალი

< appa (უკან) + šiwatt- (დღე)

= EGIR  $U_4$ -MI (= EGIR UD<sup>MI</sup>), EGIR  $U_4$ <sup>KAM</sup>-MI (= EGIR UD<sup>KAM</sup>-MI)

იგივეობის ნიშანი შუმეროგრამის ან აქადოგრამის წინ იმაზე მიუთითებს, რომ (შუმერული, აქადური) ლოგოგრაფიული და (ხეთური) ფონეტიკური დაწერილობა სიგყვისა მხოლოდ და მხოლოდ ორთოგრაფიულ ვარიანტებს წარმოადგენდნენ ხეთი მწერლისთვის. ლოგოგრამების / იდეოგრამების წაკითხვას რაც შეეხება, პარალელური ტექსტების შედარება გვიჩვენებს, რომ ხეთებს ისინი ხეთურ ენაზე უნდა გაეხმოვანებინათ. ჩვენ ამ შესაძლებლობას ხშირად მოკლებული ვართ იმის გამო, რომ უცნობია ამა თუ იმ იდეოგრამის ხეთური ფონეტიკური წაკითხვა.

▣ სიგყვა-სტატივებში, შეძლებისდაგვარად, ასახულია აგრეთვე ხეთური სიგყვის მონათესავე სიგყვები ლუვიური (ლურსმული, იეროგლიფური), ფალაური, ლიდიური, ლიკური ენებიდან. შერჩეულია მხოლოდ ის სიგყვები, რომელთა მნიშვნელობები მეტ-ნაკლებად ცნობილია და ხეთურ სიგყვებთან მსგავსებაც თვალშისაცემია.

▣ ფუძის ფორმით არის მოცემული ყველა სახელი და გმნაც, რომელიც ქართულად საწყისით არის გადმოცემული. იმის მიხვედრაში,

<sup>13</sup> ხეთურ-ქართული ლექსიკონის ჩემს მიერ ჩაფიქრებულ I და II დამატებებში იგივე შესატყვისობები იქნება ასახული, ოღონდ, საპირისპირო (შუმერულ-ხეთური და აქადურ-ხეთური) თანმიმდევრობით.

საქმე ზმნასთან გვაქვს თუ სახელზმნასთან (ქართული საწყისი, როგორც ცნობილია, ყოველთვის ვერ ასახავს ზმნის პირიან, უღლებად ფორმას), გვეხმარება მითითება უღლებასთან, გვართან დაკავშირებით. მაგალითად, **ak(k)-/ek(k)-** (*II, აგრეთვე I*) კვლომა; **ar-** (*med.-pass.*) დგომა. ასეთ შემთხვევაში, მეტყველების ნაწილი (კერძოდ, *verbum*, შემოკლებით *vb.*) აღარ არის აღნიშნული.

ზმნის გასწვრივ მოცემული რომაული რიცხვები უღლებას აღნიშნავენ: *I* = მი-უღლება, *II* = ხი- უღლება. ორივე მოქმედებითი გვარის უღლებაა და, შესაბამისად, გვარი ასეთ შემთხვევებში აღარ არის მითითებული. თუ ზმნას მოქმედებითი გვარის გარდა საშუალებითი გვარის ფორმაც გააჩნია, ეს ასე აღინიშნება: (*III, აგრეთვე med.-pass.*).

▣ ლექსიკონში გამოყენებულია ხეთოლოგიურ ლიტერატურაში დამკვიდრებული გრამატიკული ტერმინოლოგია. ვინაიდან ლათინური ან ლათინიზებული ტერმინები უფრო მუსტად გადმოსცემენ ხეთურ გრამატიკულ კატეგორიებს და მათ შინაარსს, ქართული შესატყვისის არსებობის შემთხვევაშიც კი, ერთგვაროვნების დაცვის მიზნით, ძირითადად ამ ტერმინოლოგიით ვსარგებლობ.

▣ სიტყვა-სტატიას, შეძლებისდაგვარად, დაერთვის საილუსტრაციო მასალაც, რომელიც შერჩევით არის მოტანილი. ხეთური სიტყვის ლექსიკური მნიშვნელობის უკეთ წარმოჩენას ემსახურება მისი თარგმნა სხვადასხვა კონტექსტში. ზმნასთან დაკავშირებით, ნაჩვენებია მისი ხმარება სხვადასხვა ზმნისწინით. იმედია, სალექსიკონო ერთეულის ამ ფრაზეოლოგიურ ნაწილში თავმოყრილი ცალკეული სიტყვათშეთანხმებები და იდიომები უფრო სრულ წარმოდგენას შექმნიან ხეთურზე და ამ უძველესი ენის გამოხატვის მდიდარ შესაძლებლობებზე.

## ბიბლიოგრაფია

- J. Friedrich**, Hethitisches Wörterbuch (HW). Kurzgefasste kritische Sammlung der Deutungen hethitischer Wörter. Heidelberg, 1952. 3 Ergänzungshefte, 1957-1966.
- J. Friedrich - A. Kammenhuber, & I. Hoffmann** (HW<sup>2</sup>). Hethitisches Wörterbuch. Zweite, völlig neuarbeitete Auflage auf der Grundlage der edierten hethitischen Texte. Heidelberg, 1975- (Bd. I: A, Lief.1-8: a- – azuri(u) [1975-1984]; Bd. II: E, Lief. 9-10: e – ezza(š)-; [1988]; Bd. III: H, Lief. 11-16: ḫa- – ḫaššu- [1991-2004]).
- H.G. Güterbock - H.A. Hoffner, & T. van den Hout** (CHD), The Hittite Dictionary of the Oriental Institute of the University of Chicago. Chicago, 1980- (Vol. 3, fasc. 1: la- – -ma [1980], fasc. 2: -ma – \*mi(ya)ḫu(wa)nt- [1983], fasc. 3: \*mi(ya)ḫu(wa)nt- – nai- [1986], fasc. 4: nai- – nutarnu- [1989]; Vol. P, fasc. 1: pa- – parā [1994], fasc. 2 : parā – <sup>(UZU)</sup>pattar A. [1995], fasc. 3: <sup>(UZU)</sup>pattar A. – putkiya [1997]; Vol. Š/1: ša – šaptamenzu [2002]).
- H.A. Hoffner**, An English-Hittite Glossary, *Revue Hittite et Asianique* (Paris) 25, fasc. 80, 1967, 6-99.
- Jin Jie**, A complete retrograde glossary of the Hittite language. Leiden, 1994.
- A. Kammenhuber**, Hethitische Lexicographie, წიგნები: F.J. Hausmann, Wörterbücher, Dictionaries, Dictionnaires. Ein internationales Handbuch zur Lexikographie, II. Berlin/New York, 1990, 1686-1689.
- A. Kammenhuber**, Materialien zu einem hethitischen Thesaurus. Heidelberg, 1973 - (Lief. 1-3, Nr. 1- 4: ak(k)-/ek(k)-, šu, ta, -a- [1973-1976]; A. Kammenhuber-A. Archi, Ende Lief. 3 -7, Nr. 5: eku-/aku- [1976-1977]; M. Ciantelli, Lief. 7-9, Nr. 6: da- [1978-1979]; C.F. Justus; Lief. 10, Nr. 7: šak(k)-/šek(k)- [1981]; P. Cotticelli, Lief. 11, Nr. 8: ḫandai- [1989]).
- E. Kronasser**, Etymologie der hethitischen Sprache I (fasc. 1-4), II (fasc. 5/6). Wiesbaden, 1963-1965, 1966.
- H. C. Melchert**, Cuneiform Luvian Lexicon, *Lexica Anatolica* 2, Chapel Hill 1993.
- E. Neu**, Glossar zu den althethitischen Ritualtexten. Wiesbaden, 1983.
- H. Otten**, Materialien zum hethitischen Lexikon. Wiesbaden, 1971.
- J. Puhvel**, Hittite Etymological Dictionary. Berlin/New York /Amsterdam, 1984- (Vol.1: A; Vol. 2: E, I [1984]; Vol. 3: Ḫ [1991]; Vol. 4: K [1997]; Vol. 5: L [2001]; Vol. 6: M [2005]).

**J. R. Ramos**, Léxico para la Introducción al Estudio de la Lengua Hitita (<http://www.hottopos.com/convenit3/hitita.htm>).

**P. Reichert**, Glossaire inverse de la langue Hittite, Revue Hittite et asianique (Paris), 1963, 61-143.

**E.H. Sturtevant**, A Hittite Glossary. Words of Known or Conjectured Meaning with Sumerian and Akkadian Words Occurring in Hittite Texts. 2<sup>nd</sup> ed. (William Dwight Whitney Linguistic Series.). Philadelphia, 1936.

**J. Tischler**, Hethitisch-Deutsches Wörterverzeichnis, Innsbruck, 1982, III-153.

**J. Tischler**, Hethitisches Etymologisches Glossar (Innsbrucker Beiträge zur Sprachwissenschaft, 20). Innsbruck, 1977- (Teil I, Lief.1-4: A - K [1977-1983]; Teil II, Lief. 5-7: L - N [1990- 1991]; Teil III, Lief. 8-10 : T, D/1-3 [1991-1994]).

**J. Tischler**, Hethitisches Handwörterbuch. Mit dem Wortschatz der Nachbarsprachen. (Innsbrucker Beiträge zur Sprachwissenschaft, 102). Innsbruck, 2001.

### შემოკლებები:

*აბსტრ.* = აბსტრაქტული სახელი

*ადგ.* = ადგილობითი, ადგილის

*ანაგ.* = ანაგომიური გერმინი

*არქიტ.* = არქიტექტურული გერმინი

*აქად.* = აქადური

*ახ.* = ახალი (სამეფოს) ხეთური ენა (ძვ.წ. XIV-XIII სს.)

*ბოგ.* = ბოგანიკური გერმინი

*ვილგ.* = ვილგამეშის ეპოსი

*დ.მ.* = დაუდგენელი მნიშვნელობის

*ეგვ.* = ეგვიპტური

*თანდ.* = თანდებული

*იერ.* = იეროგლიფური ლუვიური

*კარ.* = კარიული

*ლათ.* = ლათინური

*ლიდ.* = ლიდიური

*ლიკ. B* = ლიკიური B (მილიური)

*ლუვ.* = ლურსმული ლუვიური (უპირატესად ლუვიური კონტექსტიდან)

"*ლუვ.*" = სავარაუდოდ, ლურსმული ლუვიური (ხეთური კონტექსტიდან)

*მედ.* = სამედიცინო გერმინი

*ნაკლ.* = ნაკლული სიგევა ან ფორმა  
*ნაწ.* = ნაწილაკი  
*სუფ.* = სუფიქსი  
*ტ.ტ.* = ტექნიკური ტერმინი  
*უკუქც.* = უკუქცევითი  
*უცხო წარმ.* = უცხო წარმოშობის  
*ფალ.* = ფალაური  
*-ფუძ.* = -ფუძიანი  
*შდრ.* = შეადარე  
*შემოკლ.* = შემოკლებული  
*შუა ხ.* = შუა (სამეფოს) ხეთური ენა (ძვ.წ. XV-XIV სს.)  
*ძვ.* = ძველი; ძველი (სამეფოს) ხეთური ენა (ძვ.წ. XVI-XV სს.)  
*ხათ.* = ხათური (იგივე პროტოხეთური)  
*ხეთ.* = ხეთური  
*ხურ.* = ხურიტული  
*ხურ.-ხეთ.* = ხურიტულ-ხეთური ტექსტები

\*\*\*

*abl.* = აბლატივი (მოქმედებითი ბრუნვა)  
*acc.* = აკუზატივი (ბრალდებითი ბრუნვა)  
*act.* = აქტივი (მოქმედებითი გვარი)  
*adj.* = ადიექტივი (მედსართავი სახელი)  
*adv.* = ადვერბი (მზნიშედა)  
*c.* = (genus) *communae* (საერთო /მამრობით-მდედრობითი სქესი)  
*c./n.* = (genus) *communae* / (genus) *neutrum* (საერთო და საშუალო სქესი; სქესის მონაცვლეობა)  
*c. ან n.* = (genus) *communae* ან (genus) *neutrum* (საერთო ან საშუალო სქესი; სქესი დაუდგენელია)  
*caus.* = კაუზატივი  
*ci.* = *coniunctio* (კავშირი)  
*dat.* = დატივი (მიცემითი ბრუნვა) ფორმით; ფორმით და სინ-გაქსურად  
*dat.-loc.* = დატივ-ლოკატივი (მიცემით-ადგილობითი ბრუნვა) ფორმით; დატივი ან ლოკატივი – სინგაქსურად  
*+dat.-loc.* = თანდებული ან მზნა მოითხოვს *dat.-loc.-ს*  
*denom.* = დენომინატივი (სახელიდან ნაწარმოები მზნა)  
*deverb.* = დევერბატივი (მზნიდან ნაწარმოები სახელი)  
*durat.* = ღურატივი (განგრძობითი ასპექტი)

*enclit.* = ენკლიტიკა, ენკლიტიკური კავშირი / ნაცვალსახელი / ნაწილა-  
 კი  
*gen.* = გენეტივი (ნათესაობითი ბრუნვა)  
 + *gen.* = თანდებული ან ზმნა მოითხოვს *gen.*-ს  
*imper.* = იმპერატივი (ბრძანებითი კილო)  
*inf.* = ინფინიტივი (საწყისი)  
*instr.* = ინსტრუმენტალისი (მოქმედებითი ბრუნვა)  
*int.* = interiectio (შორისდებული)  
*intrans.* = ინტრანზიტიული (გარდაუვალი) ზმნა  
*iter.* = იტერატივი (მრავალგზისი ასპექტი)  
*loc.* = ლოკატივი (ადგილობრითი ბრუნვა), ფორმით და სინტაქსურად  
 + *loc.* = თანდებული ან ზმნა მოითხოვს *loc.*-ს  
*med.-pass.* = მედიოპასივი (საშუალ-ენებითი გვარი)  
*n.* = (genus) neutrum (საშუალო სქესი)  
*nom.* = ნომინატივი (სახელობითი ბრუნვა)  
*nom. act.* = nomen actionis (მოქმედების აღმნიშვნელი სახელი)  
*nom. agent.* = nomen agentis (მოქმედების შემსრულებლის აღ-  
 ნიშნული სახელი)  
*nom. instr.* = nomen instrumenti (მოქმედების შესრულების იარაღის  
 აღმნიშვნელი სახელი)  
*oppos.* = საპირისპირო  
*part.* = პარტიციპი (მიმღეობა)  
*pass.* = პასივი (ვნებითი გვარი)  
*pl.* = პლურალისი (მრავლობითი რიცხვი)  
*postpos.* = postpositio (თანდებული)  
*praepos.* = praepositio (წინდებული)  
*praes.* = პრეზენსი (აწმყო დრო)  
*praet.* = პრეტერიტი (წარსული დრო)  
*praeverb.* = პრევერბი (გმნისწინი)  
*pron. pers.* = pronomen personalium (პირის ნაცვალსახელი)  
*pron. demonstr.* = pronomen demonstrativum (ჩვენებითი ნაცვალსა-  
 ხელი)  
*sg.* = სინგულარისი (მხოლოდობითი რიცხვი)  
*subst.* = სუბსტანტივი (არსებითი სახელი)  
*supin.* = სუპინუმი  
*trans.* = ტრანზიტიული (გარდამავალი) ზმნა  
*vb.* = verbum (ზმნა)

## დეგერმინატივები<sup>14</sup>

ა) იდეოგრამას წინ უძღვის  
DINGIR (= შემოკლ. D) ღვთაება  
DUG ჭურჭელი  
É სახლი  
GADA სელი, თავსაფარი  
GI ლერწამი  
GIŠ ხე  
GU<sub>4</sub>, GUD ხარი  
HUR.SAG მთა  
ÍD, I<sub>7</sub> მდინარე  
IM ალიზი, თიხა  
ITU თვე  
KUR ქვეყანა  
KUS ტყავი, ბეწვი  
LÚ კაცი  
MUNUS, MÍ ქალი  
MUL ვარსკვლავი  
MUŠ გველი  
NA<sub>4</sub> ქვა  
NINDA პური  
PÚ წყარო  
SI რქა  
SÍG მაგყლი  
TU<sub>7</sub> წვნიანი კერძი  
TÚG, TU<sub>9</sub> განსაცმელი  
Ú მცენარე  
UDU ცხვარი  
URU ქალაქი  
URUDU სპილენძი  
UZU ხორცი

---

<sup>14</sup> სია აღებულია წიგნიდან: Ch. Rüster, E. Neu, Hethitisches Zeichenlexikon. Inventar und Interpretation der Keilschriftzeichen aus den Boğazköy-Texten. Wiesbaden, 1989, 383-384 (StBoT, Beiheft 2).

**ბ) იდეოგრამას ბოლოში ერთვის:**

DIDLI მრავლობითის ნიშანი, კრებითი

DIDLI ღI.A, DIDLI ღÁ მრავლობითის ნიშანი

ღI.A, ღÁ მრავლობითის ნიშანი

KAM მოსდევს რიცხვებს, დროის ერთეულებს

KI ადგილი

KU<sub>6</sub> თევზი

MEŠ მრავლობითის ნიშანი

MEŠ ღI.A, MEŠ ღÁ მრავლობითის ნიშანი

MUŠEN ჩიტი

SAR მცენარე

## პირობითი ნიშნები:

- მზნის ხმარება წინსართებით; გაქვავებული სიგყვათშეთანხმებები, იდიომები და ზოგიერთი სხვა ფრაზეოლოგიური ერთეული
- სიგყვის ან ფორმის ბოლოში: ფუძე; თავში: ენკლიტიკური კავშირი, ნაცვალსახელი ან ნაწილაკი, სუფიქსი, ბრუნვის ან პირის ნიშანი; მარცვლების გამყოფი სიგყვაში, სიგყვებისა – კომპოზიტი
- ? სათუო მნიშვნელობა სიგყვისა
- / ალტერნატიული ვარიანტები (დაწერილობის, წაკითხვის და სხვ.); მონაცვლეობა (ხმოვნის, თანხმოვნის)
- < ფორმა ან სიგყვა მიღებული/ნაწარმოებია (ან ნასესხებია) ამა თუ იმ სიგყვიდან
- > გვაძლევს ამა თუ იმ სიგყვას ან ფორმას
- ↗ იხილე მითითებული სალექსიკონო ერთეული
- = შუემერული, აქადური ან სხვა ენაზე შესაგყვისი; იგივეობა
- ≈ არ არის სრული იგივეობა
- =? იგივეობა სათუოა
- ≠ არ არის იგივეობა
- [ მომდევნო ნაწილი სიგყვისა დაზიანებულია
- ] წინა ნაწილი სიგყვისა დაზიანებულია
- [ ] დაზიანებული სიგყვის ან მისი ნაწილი აღდგენილია
- [...] დატოვებულია აღდგენის გარეშე
- ( ) დამატებითი განმარტება ლექსემის თარგმანთან, გრამატიკულ კატეგორიასთან, ფორმასთან და სხვ. დაკავშირებით; გემინაცა, მარცვალი ან დეტერმინაცივი, რომელიც ყოველთვის არ გვხვდება ამა თუ იმ სიგყვასთან დაკავშირებით; სავარაუდოდ არასწორი ან იშვიათი დაწერილობა სიგყვისა
- I I უღლება = -mi- უღლება, პირველი პირის დაბოლოების (აწმყო დრო, მხოლობითი რიცხვი) მიხედვით
- II II უღლება = -hi- უღლება, პირველი პირის დაბოლოების (აწმყო დრო, მხოლობითი რიცხვი) მიხედვით
- \* სავარაუდოდ აღდგენილი ლექსემა
- ⚡ ხეთური აღნიშვნა უცხო, ძირითადად ლუვიური, წარმოშობის სიგყვისა

# A

**a**<sup>1</sup> (*pron. demonstr., ნაკლ.*) ეს, ის  
*nom. pl. c. e; ირიბი ბრუნვები (< ed-ფუძ): dat.-loc. sg. edani; abl. ediz, etez, edaz; dat.-loc. pl. edaš*  
– ešta (< e + -ašta) შემდეგ ისინი  
⌘ ed<sup>-2</sup>; შდრ. ⌘ aši; eni

**-a**<sup>2</sup> (*III pron. pers., enclit.*) ის  
*nom. sg. c. -aš; acc. sg. c. -an; nom.-acc. sg. n. -at; nom. pl. c. -e (ძვ.), -at; acc. pl. c. -uš (ძვ.), -aš; nom.-acc. pl. n. -e (ძვ.), -at*  
ფალ., ლუვ., იერ., ლიდ. -a- ის

**-a**<sup>3</sup> (*ერთვის დახურულ მარცვალს*) = -ya (*ერთვის ღია მარცვალს და იდეოგრამას; წინადადებებისა და სიტყვების დამაკავშირებელი ენკლიტიკური კავშირი*) და, მაგრამ; აგრეთვე  
= Ū

– -(y)a ... -(y)a როგორც... ასევე ...; (*უარყოფისას*) არც... არც...  
ფალ. -a/(y)a, ლიდ.-a, ლუვ., იერ. -ha, ლიკ. B -ke და

**a**<sup>4</sup>, ā- (*med.-pass.*) თბობა, ცხელება  
*part. ant-*

**aḥa**, aḥā (*ხათ. შეძახილი ხეთ. საკულტო ტექსტებში*)

**aḥarra-** (*ც., ლუვ. დ.მ.*)

**aḥ(a)ri** (*ხურ. საკულტო გერმინი*) საკმეველი  
⌘ aḥrušhi

**aḥarriyant-** (/aḥurriyant-) (*სამისნო გერმინი*)

<sup>(GADA)</sup> **aḥlipakki-** (*ქსოვილის სახეობა*)

**aḥra-** (*ლუვ. მავიური სიტყვა*)

– aḥran waḥran / aḥraš waḥraš / aḥra waḥran აბრაკადაბრა  
⌘ waḥra-

**āhraman** (ლევ., სულიერი ავადმყოფობა ან დისკომფორტი)

↗ aħra-, wahra-

ლევ. āħra- (c.) მწუხარება, ტკივილი, განჯვა

(DUG) **aħrušhi**, aħuršihī (c., ხურ., საკულტო დანიშნულების სავანი) სა-  
საკმეველე

– aħrušhi ħuprušhi

↗ aħ(a)ri, ħuprušhi

**aħurriyant-** (/aħarriyant-) (სამისნო გერმინი)

**ai**<sup>1</sup>, a(y)i- (c.) ტკივილი, გასაჭირი, ვაი-ვაგლახი

↗ ai (int.), awaia, wai-

**ai**<sup>2</sup> (int.) ვაი!

↗ ai- (c.), awaia, wai-

**ayakki** (საკულტო სავანი გაძარში; იშთარის ეპითეტი)

**ayatniyaš** (ლევ. საკულტო სავანი)

**ayawala-** (c.) მეფისნაცვალი, მეფის აგენტი (?)

**aikawartanna** (ჰიპოლოგიური ტ.ტ.) ერთ ბრუნში / წრეში

**aimpa-** (/arimpa), impa- (c.) სიმძიმე, გვირთი (ფიზიკური, სულიერი)

denom.: impai- (iter. impaišk-), aimpanu-, impanai-; nom. act. impauwar

↗ impa-

**aimpanu-** (-kán anda) შეწუხება, თავის მობეზრება

↗ aimpa-, impa-

**aiš-/išš-** (n.) პირი; დინგი (სამისნო ტექსტებში აგრეთვე ღვიძლის  
გარკვეული ნაწილი)

nom.-acc. sg. aiš; gen. sg. iššaš, dat.-loc. išši; abl. iššaz; instr. iššit

= <sup>UZU</sup>KA, <sup>UZU</sup>KAXU-(iš) = PŪ (მხოლოდ ხურ.-ხეთ.)

ლევ. aš(ša)- პირი (?)

**aiš(š)-** (intrans.; ჰიპოლოგიური ტ.ტ.)

**aiwant-** (*c.*, *ასტროლოგიური გ. გ. სამისნო პრაქტიკიდან*)

**ak(k)-/ek(k)-** (*II, აგრეთვე I*) კვლომა

= ÚŠ; BA.UŠ, BA.ÚŠ (= akkiš) მოკვდა; *part.* akkant-; *iter.* akkišk-; *nom. act.* aggatar; *supin.* akkiškiwan

– <sup>D</sup>XXX-aš aki მთვარე კვდება = მთვარე ბნელდება; arḫa ak(k)- (სახლიდან?) შორს სიკვდილი; kattan ak(k)- ვინმესთან (ერთად) სიკვდილი; aki-pát-šan ის იქ მოკვდება

**aga-** = agandi (?) (*ხურ. საკულტო ტერმინი, მ. უ.*)

<sup>TU7</sup>**agaḫalanti-** (*კერძის სახეობა*)

**aggala-** (*c. ან n.*) ხნული

= AB.SÍN

– aggalan penna-, aggalan peda- ხნულის გავლება

<sup>DUG</sup>**aganni-** (*c. “ლუგ.” ან ხურ. გ.გ.*) თასი, ფიალა

= <sup>DUG</sup>AGAN(N)U; *ხურ.* aganni

**akkant-** (*part.*) მკვდარი; მიცვალებულის სული

= GIDIM მიცვალებულის სული

– akkantaš ḫulališ მკვდრის გამოკვრა / გამოხვევა = მწერის ჭკუპრი

➤ ak(k)-/ek(k)-

*ლუგ.* u(wa)lanti- მკვდარი

**aggatar / aqqatar** (*nom. act.*) სიკვდილი

= ÚŠ-tar; MŪTU(M)

– SAG.DU-aš (= ḫaršanaš) ÚŠ-tar (=akkatar) სისხლის სამართლის დანაშაული

➤ ak(k)-/ek(k)-

**agandi** = aga (?) (*ხურ. საკულტო ტერმინი, მ. უ.*)

**agataḫi** (*ღვიძლის რომელიღაც ნაწილის აღმნიშვნელი ხურ. სამისნო სიტყვა*)

⚡ **aggati-** (c., “ლუგ.”) ბადე, მახე  
➤ ekt-, ekza-, ikt-

**akkišk-** (*iter.*; *act.*, *med.-pass.*)  
– akkišk- ის მოკვდება ხოლმე = სიკვდილის შემთხვევები ხშირია  
➤ ak(k)-/ek(k)-

⚡ **akni** (*რძაღვ სავანი ან ადვილი*)

(<sup>NA4</sup>) **aku-**<sup>1</sup> (c.) ქვა  
*adj.* (<sup>NA4</sup>) akuwant-

**aku-**<sup>2</sup> /eku- (I) დაღევა  
= NAG; *part.* akuwant-; *inf.* akuwanna; *nom. act.* akuwatar; *iter.* akkušk-  
ლუგ. akuwan (akuwatta); *ფალ.* აჰუ- დაღევა

-(a)ku<sup>3</sup> ... -(a)ku ან ... ან; იქნება ... თუ ...

**akuka-**, akuki- (*subst.*, *მ. უ.*)

**akugalla-** / akutalla-(?) თასი (ვერცხლისა, მეფისთვის ხელის დასაბანად განკუთვნილი)

⚡ **akkuš(š)a** (*nom.-acc. pl. n.*) ორმო-ხაფანგი  
= BŪRU (*აქად. ვილგ.-ში*)

**akkušk-** (I, *iter.*)  
➤ aku-<sup>2</sup>/eku-

**akutalla** (?)  
➤ akugalla

<sup>LÚ</sup> **akuttara-** (c.) მსმელი; მერიქიფე (*ქურუმის კატეგორია ხათ. წარმოშობის რიგუალში, ფუნქციურად = ხათ. <sup>LÚ</sup>haggazuel*)  
➤ aku-<sup>2</sup>/eku-

**akuwakuwa-** (c.) ბაყაყი (?); გომბეშო (?)

**akuwanna** (*inf.*)

↗ aku-<sup>2</sup>/eku-

<sup>(NA4)</sup>**akuwant**-<sup>1</sup> (*adj.*) ქვიანი

↗ <sup>(NA4)</sup>aku-<sup>1</sup>

**akuwant**-<sup>2</sup> (*part.*) დალეული, შესმული

↗ aku-<sup>2</sup>/eku-

**akuwatar** (*nom. act.*) დალევა

↗ aku-<sup>2</sup>/eku-

**alla-** (*subst., რაღაც საქონელი ?*)

**alaxuḥ**[- (*სამელიციხო-მაგიური დანიშნულების მცენარე?*)

**allaiti** (*ხურ. სამისხო გერმინი*)

<sup>(GIŠ)</sup>**allayana/i-** (*c., ხის ჯიშთ: მეთისხილი ?*)

(\*)**allalla-** (*c., "ლუგ."*) დალაგა, დარღვევა (ხელშეკრულებისა)

– allal(I)a pa(i)- (*pauwar*) დალაგის ჩაღება, განღობა

**alalam(m)a-**, **alalima-** (*c.*) ხმაური, ბობოქრობა, ჩუხჩუხი (წყლისა), შრიალი (გყისა)

**alalamnešk-** (*I, iter. < \*alalamniya- ან \*alalamnai-*) მოთქმა, გოდება

**alaleššar** (*n., r/n-ფუძ.*) (*სამეურნეო დანიშნულების მიწის მომრდილო ფართობი*) საძოვარი, მინდორი

შღრ. ↗ alil (*alel*)

**alalima-**

↗ alalam(m)a-

<sup>GADA</sup>**alalu-** (*განსაცმლის სახეობა: სამგზავრო მოსასხამი ?*)

ლუგ. <sup>GADA</sup>alaluša (*nom.-acc.sg. n.*) (*განსაცმლის სახეობა: სამგზავრო მოსასხამი ?*)

<sup>NINDA</sup> **allalunza** (*nom.-acc.sg.*) (ლუკ. პურის სახეობა)

**alampazzi**

➤ alumpazḥi

<sup>D</sup> **Allani**- მიწის მზის ქალღმერთი

*ხურ.* allanni ქალბატონი, დედოფალი

**allaniya-** (*I*) (*ჰიპოლოგიური გერმინი*) მოუსვენრად ყოფნა, ცქმუცვა (?)

<sup>GIS</sup> **allantaru-** (*n., ხის ჯიშთ: მუხა?, მუხის მასალა?*)

<sup>É</sup> **alanduwa** (*საკულტო ნაგებობა*)

*შდრ.* ➤ <sup>É</sup> ḥalentuwa-

**SISKUR alanuwaššiyaš** (*რიგუალის სახეობა*)

<sup>GIS</sup> **alanza(n)**- (*c., ხის ჯიშთ და მისი მასალა*)

**allap(p)ahḥ-** (*II*) ფურთხება, გამოფურთხება

– anda allap(p)ahḥ- ჩაფურთხება; katta allap(p)ahḥ- გაღმოფურთხება;

para allap(p)ahḥ- გადაფურთხება; šara allap(p)ahḥ- ამოფურთხება; šer

allap(p)ahḥ- დაფურთხება

<sup>NINDA</sup> **allapuri** (*ხურ.-ხეთ., პურის ან ნამცხვრის სახეობა*)

**allašše** (*ხურ., მმართველობის აღმნიშვნელი გერმინი*) დედოფლის წოდება, დედოფლობა / ქალბატონობა (?)

SISKUR allaššiyaš, SISKUR allaššiyant- (დედოფლად კურთხევის საზეიმო რიგუალი)

➤ allanni; *შდრ.* ➤ SISKUR šarraššiyaš, SISKUR šarraššiyant-

(<sup>⚡</sup>) **allattar** (*r/n-ფუძ.*) ხილი

<sup>NINDA</sup> **aladdari-**, laddari- (*c., ხურ.-ხეთ., შვრიის ნამცხვრის სახეობა; ხილის ღვებელი?*)

LÚ/MUNUS **allawant[ɨ-** (მოსამსახურე / მოხელე კაცი / ქალი)

**alel-**

⚡ alil-

**aleššar** (n., r/n-ფუძ.) (ქსოვილის ან განსაცმლის სახეობა)

**alḫari-** (c., ქვის სახეობა)

MUNUS **alḫuešra-, alḫuitra-** (c., ქურუმი ქალი)

– É<sup>MUNUS</sup> alḫuitra- a.-ს სახლი

ლევ. <sup>MUNUS</sup> alḫuitra (ქალღმერთ ხუვასანას კულტის მსახური) ქურუმი ქალი (= ხეთ. alḫuešra-)

<sup>(SÍG)</sup> **ali-** (c., ვარკვეული სახეობის მაგყლი და მისგან დამზადებული ძაფი)

**alliya-** (aliya-) (c., სამიხნო ფრინველის სახეობა: მგრელი?)

მდრ. ⚡ alili-

**aliyan-** (c.) ხვალი შველი (?)

**aliya(n)zina-, aliyazena-** (c., საკულტო სიმბოლო ცხოველის გამოსახულებით?)

მდრ. ⚡ šena-

**alil-, alel-** (n., l-ფუძ.) ყვავილი

denom. alileš-

მდრ. ⚡ alaleššar

<sup>(D)</sup> **alila**<sup>-1</sup> (ღვთაებისადმი მიძღვნილი რაღაც საგანი, ღვთაების საკულტო საგანი)

**alila**<sup>-2</sup>

⚡ alili-

**alileš-** (I) ყვავილობა

მდრ. ⚡ alil-

**alili-** (alila-, aliliya-) (c., სამისნო ფრინველის სახეობა)  
მდრ. 7 alliya-

♣ **allin** (subst., "ლუკ.", დ.მ.)  
ლუკ. alinnan (subst., დ.მ.)

<sup>NINDA</sup> **alinnašši-** (c., ლუკ., პურის ან ნამცხვრის სახეობა)

<sup>GIS</sup> **alkišta(n)-** (c.) გოგი, ნუკრი  
= ARTU (ახ.)

**alpa** - (c.) ღრუბელი  
= URPU

**alpant-** მოჯაღოებული, მოხიბლული  
= \*alwanza- (?)

**alparama-** (subst., ბუნების რომელიღაც მოვლენა)

(♣) **alpašši-** (c., "ლუკ.", პურის ან ნამცხვრის სახეობა)

**alpinant-** (?) (c., სამისნო ფრინველის სახეობა)

**alpu-** წვეგიანი  
= KEPŪ

oppos. dampu- ბლაგვი; აბსტრ. alpuemar- წვეგი; ხარის რქა; მოვარის რქა (სამისნო გექსგებში); denom. (para) alpueš- (I) გამწვავება (ომისა)

<sup>GIS</sup> **alpudaya** სატვირთო ეგლი  
= <sup>GIS</sup> MAR.GÍD.DA + -ya (ci. enclit.).

**alšant-** (part. < \*alš) თანხლებული(?), ამაღა(?); გყვე(?); ერთგულების ფიცით შეკრული(?)

**alšuar** (n., r/n-ფუძ.) ერთგულება, ღვთაებების სიყვარული

(PŪ) **altanni/a** (c.) წყარო, ჭა

≈ PÚ; wattaru-  
ლუგ. altannima (დ.მ.)

<sup>GU4</sup> **alu-** (c.) ცის ხარი (მითიური)  
= ALÚ (ვილგ.-ში)

**alumpazhi**, alampazzi (ხურ. გერმინი, კეთილდღეობის და ნეგარების აღმნიშვნელი)

<sup>GIŠ</sup> **alušša-** (c., რაღაც ხელსაწყო)

**\*alwanza-**

↗ alpant-; alwanzahh-

**alwanzahh-** (I) მოჯადოება, მოხიბვლა

= UH<sub>7</sub>; *deverb.* alwanzahh- ჯადო, ჯადოს ძალა; *part.* alwanzahhant- მოჯადოებული; *iter.* alwanzahhišk-; alwanzatar (n., r/n-ფუძ.) შავი მაგია, ჯადოქრობა; *adj.* alwanzena- ჯადოსნური; alwanzeššar (n., r/n-ფუძ.) ჯადო, მოჯადოება

**alziman** (ხურ. სამისნო გერმინი)

**am** (= შემოკლ. ambašši)

↗ ambašši-, amši, amšin

**ammama**<sup>1</sup> (?) (დ.მ.)

– aruni am-ma-ma uwanun ... a. ზღვასთან მოველი

<sup>MUNUS</sup> **ammama**<sup>-2</sup> (c., კულგის მხახური ქალი)

**ammanašši-** (სამისნო ფრინველის სახეობა)

**amandant-** (სამისნო ფრინველის ვაურკვეველი აგრძობები)

– amandanteš MUŠEN<sup>HLA</sup> a.-ჩიგები

↳<sup>U</sup> **ammarhuwa-** (ხეთ. ან ხურ. , მკენარის სახეობა?)

**ammel** (*pron. pers.I. gen. sg.*)

ა uk

**ammedaz** (*pron. pers. I. abl. sg.*)

ა uk

**ammihī** (*ხურ. საკულტო ტერმინი*) მოსვლა, გამოცხადება

**ammiyant-** პაგარა

= TUR; *oppos.* ოალი- დიდი

– humanza ოალიშ ammiyanza ყველა – დიდი და პაგარა; GAL-la-mu-uš (= ოალიmuš) DINGIR<sup>MEŠ</sup>-uš ... a-mi-ya-an-du-uš DINGIR<sup>MEŠ</sup>-uš დიდი ღვთაებები ... პაგარა ღვთაებები

*მღრ.* ა kappi-

*ლიკ.* ammāma ახალგაზრდა, პაგარა

<sup>NINDA</sup>**ammiyanteššar** (*ქურის სახეობა: ფუნქტუმა?*)

**amiyara-** (*c.*) სარწყავი თხრილი, არხი

= PA<sub>5</sub>, PALGU

<sup>NINDA</sup>**ampanzi** (*ხურ. ან “ლუკ.”, ქურის ან ნამცხვრის სახეობა*)

**ambašši-** (*c., ხურ. საკულტო ტ.ტ.*)

– SISKUR ambašši, SISKUR ambaššiyaš (*შესაწირის სახეობა, ვეხვდება ძირითადად იშთარ / შუშგას კულტში*)

<sup>NINDA</sup>**ampura-** (*c., ქურის ან ნამცხვრის სახეობა*)

**amši**, **amšin** (= *შემოკლ. ambašši*)

ა ambašši

**ammuk** (*pron. pers. I. dat./acc. sg.; აგრეთვე nom. sg.*)

– ammuga (*dat./acc.*) ხოლო მე / მე კი

ა uk

<sup>LÚ</sup>**amumikuni-** (*c., მაღალი რელიგიური ან სამხედრო თანამდებობის პირი*)

**amumgihi** (*ხურ. საკულტო ტერმინი*)

**-an** (*ძვ. აღვ. ნაწ., იშვიათად იხმარება*)

**anna/i-** (*ც.*) დედა

= AMA, UMMU

– annaš daganzipaš დედა(-)მიწა; annaz kartaz დედის წიაღიდან = დაბადებიდან; attaş annaš მამა (და) დედა (*უფრო იშვიათად, annaš attaş დედ-მამა*); annaš šiwatt- დედის დეე = გარდაცვალება

*ფალ.* anna- (*ც.*) დედა

*ლუვ.* ānni- დედა (*მდრ.* ānni(ya)-, annalla, annašši დედობრივი; annā- *n.* ჭკუა, გამოცდილება)

*ლოკ.* eni დედა

**anaḫari** (*ხურ. საკულტო ტერმინი*)

**anaḫi-** (*n.*) სინჯი (*შესაწირისა, უმთავრესად პურის და ხორცის*)

*ლუვ.* anāhit- (*n.*) სინჯი (*შესაწირისა*)

**anāḫitāḫit-** (*n.*, *შესაწირი პურის სახეობა*)

*denom.* anāḫidāi- (*ლუვ.*) სინჯის ალება, გასინჯვა(?)

*ლუვ.* anāittari (*vb.*, *დ.მ.*; ცეცხლი)

**annalla/i-** ადრეული, ძველი (*ახ., ძირითადად, საკულტო-რელიგიური მნიშვნელობით*)

*abl.* annallaz (*adv.*) ადრე, უწინ

*ლუვ.* annalla (*nom.-acc.pl.n.*) დედობრივი; (> annalla/i ადრეული, ძველი)

*მდრ.* ო annaz, anišan, karuili-

⁴ **annan** (*adv.*, „*ლუვ.*“, *დ.მ.*)

*ლუვ.* ānnan (*adv., praepos./prev.*) ქვევით, ქვეშ

*ლუვ.* ānnanā[-] (*დ.მ.*)

**annaneka-** (*ც.*) და (*საერთო დედი*), ღვიძლი და; დეიდა (?)

< anna- დედა + neka- და

*ლუვ.* (\*an)nanašri- და

**anani** (*ხურ.*) სისარული(?)

– ananešḫi (anišḫi) სასიხარულო(?); anišḫiya pindiḫiya (შესაწირის სახეობა)

**annantila-** (განსაცმლის მოხართავი)

**annanu-** (I) განათლება, განსწავლა, წვრთნა (ძვ. მხ. ადამიანის; ახ. აგრეთვე ცხოველის, ფრინველის)

*part.* annanuwant-; *nom. act.* annanumar

↗ aniya-

**annanuxḫa-** გაწვრთნილი, მოთვინიერებული (გარეული ცხოველი, ფრინველი; აგრეთვე ადამიანი)

*oppos.* <sup>(L0)</sup>dampupi- გაუნათლებელი, ველური, უკულტურო (ადამიანი)

**annanumar** (*nom. act.*) განათლება

↗ annanu-

**annanuwant-** (*part.*) განსწავლული, გაწვრთნილი

↗ ananu-

<sup>KUS</sup>**annanuzzi-** (c., ცხენის აღკაზმულობის ნაწილი, აღვირი ლაგამის გარეშე)

*denom.* \*annanuzziya- (ცხენის) შეკაზმვა; annanuzziyant- შეკაზმული (?)

**anapi-** (*subst.*, დ.მ.)

(\*)**ānnari-** (c., ლუჯ.) ღონე, სიცოცხლის ძალა, სიმხნევე

ლუჯ. annari- ძლიერი, ღონიერი, მხნე

**annaru-** ღონიერი(?)

ლუჯ. ānnarummāḫit- (*n.*) ღონე, ძალა, მამაკაცობა; *adj.gen.* annarumāḫitašši- ძლიერი, ღონიერი, მხნე

**annarumai-** (ლუჯ.) ძალღონით სავსე, ჯანმრთელი

ლუჯ. ānnarummi- ძლიერი, ღონიერი, მხნე

**anašša-** (სხეულის ნაწილი მურგსა და ანალურ-გენიგალურ ნაწილს შორის: თეძო, საჯდომი?)

≠ ლათ. anus (= ხეო. arra-)

**anaššar** (*n., r/n-ფუძ.*) (*სახლის ნაწილი*)

↗ annašnant-

**annašši-** (*ლუკ.*) დედობრივი

მდრ. ლუკ. annalla დედობრივი

↗ anna/i-, annalla/i-

**anaššiya-** (*vb., ჰიპოლოგიური გერმინი, დ.მ.*)

**anašk-** (anšik-, anšišk-) (*iter.*)

↗ anš-

**annašnant-** (*c., სახლის ნაწილი, ბოძი?*)

< annaššar + -ant – სუფ.

↗ annaššar

<sup>MUNUS</sup>**annati-** (*c., კულტის მსახური ქალი*)

**annawali-**

↗ annauli-

<sup>MUNUS</sup>**annawanna** დედინაცვალი

ლუკ. ānnawanni- (*c.*) დედინაცვალი

**annauli-** (annawali-) თანაბარი რანგისა, თანასწორი (*ძირითადად, მეფეებზე*)

**annaz(a)** (*adv., აბ.*) აღრე, წინათ, ოდესღაც

მდრ. ↗ annalli/a-, annišan, karu-

**annešk-** (*I, iter.*)

↗ aniya-

**anni-** (*pron. demonstr., ნაკლ.*) ის, სხენებული; ეგ

(*მხოლოდ*) *nom.sg.c.* anniš

უალ. anni (*ნაცვალსახელი, დ.მ.*)

**ani** (*ხურ. საკულტო გერმინი*)

**aniya-** (*I, act./med.-pass.*) კეთება, ქმნა, მუშაობა  
*caus.* annanu-; *part.* aniyant- (*n.* aniyān) სამუშაო; *nom. act.* aniyatt-; *inf.* aniyauwanzi; *iter.* annešk-

– NUMUN<sup>HLA</sup> aniya- თესვა; tuppiyaz aniya- ფირფიცის (წერილობითი ლოკუმენტის) შექმნა, ფირფიცაზე წერა; appa aniya- საქმის გაგრძელება, საქმის შეწყვეტა; arħa aniya-შესრულება; განწმენდა; peran arħa aniya- ვინმეს წინაშე საქმის შეწყვეტა

*ფალ.* ani(ya)- ქმნა, კეთება, შესრულება

*ლუკ.* anni(ya)- განხორციელება, დამუშავება, კეთება

**aniyatt-** (*c.*; *pl. n.*) სამუშაო, ნაღვაწი, ქმნილება; საკულტო მოწყობილობა

*nom.-acc. pl. n.* aniyatta/ti = KIN<sup>(HLA)</sup>-ta/ti მოწყობილობა, (სარიტუალო) ინვენტარი, სამოსი

– KIN meħur მუშაობის დრო

↗ aniya-

**anniyatar** (*n.*, *r/n-ფუძ.*) დელობა

↗ anna/i-

**aniyauwanzi** (*inf.*)

= KIN (*ახ.*)

↗ aniya-

**aniyauwar** (*n.*, *r/n-ფუძ.*) = (?) aniur მსხვერპლშეწირვის მოწყობილობა

↗ aniya-, aniur

(LÚ/MUNUS) **anninniyami-** (*c.*, “*ლუკ.*”) ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი

**annišan** (*adv.*, *ახ.*) ადრე, წინათ, ოდესღაც

*მღრ.* ↗ annalli/a-, annaz

\***anišiwat-** (*c.*, *t-ფუძ.*) დღევანდელი დღე

< \*ani (*ეს*) + šiwat (*loc.sg.*, დღე)

– *loc.* anišiwat, *dat.* \*anišiwati (= ani-UD.KAM-ti) (*adv.*) დღეს, დღეიდან

მღრ. 7 appašiwat-

**annitalwatar** (*n.*, *r/n-ფუძ.*) შობისუნარიანობა

**aniur** (*n.*, *r-ფუძ.*) მაგიური რიგული, მსხვერპლშეწირვის აღჭურვილობა  
=KIN-ur მსხვერპლშეწირვის აღჭურვილობა

(x)-**anki** (x)-ჯერ (*იხმარება რიცხვებთან*)  
– 1-anki (1-ānki, 1-šU) ერთჯერ

**ankiš**<sup>(SAR)</sup> (*n.*, *ბოხგნეული მცენარე, მწკანილი*)

**anku** (*adv.*) მთლიანად, სულ მთლად, ერთიანად; აუცილებლად

MUNUS **ankuwarnu-** (*კულგის მსახური ქალი*)

**anš-** (*II, აგრეთვე I*) გაწმენდა (*დანაშაულისგან, საკულგო უწმინდურებისგან, ბოროტი ჯაღოსგან და ა.შ. წყლით, თაფლით, მეთით, პურიით და სხვ.*)

*iter.* anašk- (anšik-, anšišk-); *part.* anšant- (*n.*, anšan) გასუფთავებული, გარეცხილი, გაწმენდილი

**anšaššiwī-** (*c.*) გვამი (?)

**ant-** (*part.*) თბილი, ცხელი

– <sup>NINDA</sup>ant- (*ან NINDA ant-*) ნამცხვარი

7 a<sup>-4</sup>

**anda** (*praeverb.*) ჩა-/ჩამო-, შე-/შემო-, მო; (*postpos. + loc.*) -ში, -თან, -თვის (*პასუხობს კითხვებზე: სად? საით? = ŠĀ*); (*ახ. აგრეთვე adv. = andan*) მასთან / გვერდით / მახლობლად, მასზე, მასში

– anda appanda ყველაფერი ერთად, მთლიანად; anda arranda ყველაფერი, რაც ხელმისაწვდომია / რასაც შეხვდები; anda wart- (*ცხენის კულგის*) შეკვრა, დახვევა, დაწვნა (*ინდოირანული ჰიპოლოგიური ტ.ტ.*); na-an!-šan INA KUR <sup>URU</sup>Hatti andan uit ის ხათის ქვეყანაში (შემოვიდა; na-aš-kán namma anda Ú-UL[...] nu-kán LUGAL MUNUS.LUGAL anda ის (კულგის მსახური) ისევ არ არის აქ (/გვერდით

/ მახლობლად, მეფე (და) დედოფალი აქ არიან; anda-ma(-) ამასთან, ამას გარდა (ახ., წინადადების დასაწყისი; შდრ. namma)

შდრ. ႁ andan

ლუკ. anda (anta) (*adv., postpos., prae.*): მასში, შიგნით; -ში; შე-  
იერ. ata/anda (*prae., adv., postpos.*): შე-; შიგნით; -ში; atatali- შიდა  
ლიკ. ႁte(pi) (*prae. ან adv.*): შე-; შიგნით

ფალ. anta (ნაწილაკთა ჯგუფი წინადადების დასაწყისში)

<sup>LÚ</sup>andayandatar (*n., r/n-ფუძ.*) საქმროს სტაგუსი

შდრ. ႁ <sup>LÚ</sup>antiyant-

**antaki-** ოთახი, საძინებელი

შდრ. ႁ tunnakkeššar

**andakuma-** (კერძი, ერთი თავი საჭმელი)

**andan** (*adv.*) შიგნით; (*postpos. + loc.*) -ში (პასუხობს კითხვაზე სად? იშვიათად, კითხვაზე – საით?); (ახ., აგრეთვე *praeverb.* = anda) ჩა-, შე-, მო-

– É-ri andan სახლში, შიგნით; É ...andan it ...სახლში შედი! kuit andan paizzi (ის,) რაც შევა

ႁ anda

**andara-, antara(nt-), antari-<sup>1</sup>** ლურჯი

= ZA.GÍN; SÍG antari- (*c.*) ლურჯი მაგყლი; *denom.* andarešk- (I, *iter.*) მაგიური მოქმედება ლურჯი მაგყლით

ႁ **antari-<sup>2</sup>** (*c., ევკ.*: ღვთაება ან გაღმერთებული მეფე ??)

<sup>GIŠ</sup>**antarwila-** (საკმეველის დასამზადებელი მცენარე)

<sup>LÚ</sup>**antiyant-** (*c.*) სიძე, საქმრო

ႁ <sup>LÚ</sup>andayandatar

**antu-** (*n.*) ქონება, დოვლათი

**antuḫa-**

ႁ antuḫša-

**antuḥša-** (anduḥša, antuḥḥa-, antuwaḥḥa/i-) (c.) ადამიანი  
 = LÚ.NAM.U<sub>19</sub>.LU (LÚ.U<sub>19</sub>.LU), (აბ.) UN; antuḥšannant- (= UN<sup>MES/HLA</sup>-annant-)  
 ) (c.) მოსახლეობა, ხალხი, კაცობრიობა; antuḥšatar n.(c.) (r/n-ფუძ., =  
 UN<sup>MES</sup>-tar, NISŪ) კაცობრიობა, ადამიანის მოდგმა, მოსახლეობა  
 – appizziš antuwaḥḥaš უმნიშვნელო / დაბალი რანგის ადამიანი,  
 მღაბიო; ḥa-an-da-an-za-š-a-kan (ḥandants-a-kan) an-tu-uḥ(!)-wa-aḥ-ḥa-aš  
 მართალი / სამართლიანი ადამიანი; idalaweš UN<sup>MES</sup>-š-i-š ცული /  
 ბოროტი ადამიანები; linkiyaš antuḥša- ვასალი (სიკვეპისიკვეით: ფი-  
 ცის კაცი); takku LÚ.U<sub>19</sub>.LU-aš LÚ-aš našma MUNUS-za ... როდესაც  
 ადამიანი, კაცი ან ქალი ...; ANA <sup>D</sup>UTU<sup>Šr</sup> aggannaš TI-annaš UN-aš eš  
 ḥeḡmi, “მზის”, იყავი სიკვდილსა (და) სიცოცხლეში! (/მკვდარიც და  
 ცოცხალიც)

LÚ **andupšallu** = (LÚ)antuwašalli-  
 ᄀ (LÚ)antuwašalli-

**anturiya-**, andur(r)iya- (adj.) შიგნით მყოფი/მღებარე, შიდა; ადგილო-  
 ბრივი  
*oppos.* araḥzena- (araḥziya-, araḥza-) მიმღებარე, გარეთ/მეგობლად  
 მღებარე, მეგობელი; საზღვარგარეთული, საზღვარგარეთელი, უცხო

**andurza** (adv.) მასში, შიგნით  
*oppos.* araḥza გარეთ  
 – andurziya < andurza + -ya (ci. enclit.)

**antuwaḥḥa/i-**  
 ᄀ **antuḥša-**

(LÚ) **antuwašalli-** (c., მალაღი თანამდებობის პირი ხეთების სამეფო  
 კარზე)  
 = (?) antu-GAL < antuwaš- (antu- n. gen. ქონება, დოვლათი) + šalli-  
 /GAL (დიდი) მეჭურჭლეთუხუცესი, ბელის / სათავსოს გამგებელი  
 (?) (მღრ. EN É-TI A-BU-(US-)ŠÍ (= <sup>E</sup>apuzzi) ბელის, სათავსოს გამგებე-  
 ლი) ; < (?) (ბათ.) \*antuwašel (დიდი კაცი, მეთაური ?); < (?) (ბათ. ან  
